“მე სკოლაში მივდივარ” როგორ მოვემზადოთ სკოლაში ტრანზიციისთვის

1/1/2020

ბროშურა განკუთვნილია მშობლების, სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ინკლუზიური განათლების სფეროს სპეციალისტებისათვის.

ბროშურის მიზანია, გააცნოს მკითხველს ბავშვების სკოლაში გადასვლის/ტრანზიციის პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტები COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით.

ბროშურაზე მუშაობდნენ:
მარიამ ხვადაგიანი
მარიკა ზაქარეიშვილი

ბროშურა მომზადებულია ორგანიზაციის „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ბროშურაში მოცემულ შინაარსზე პასუხისმგებელია ორგანიზაცია „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სკოლაში ტრანზიცია

სკოლის დაწყება და ახალ საგანმანათლებლო გარემოში ტრანზიცია (გადასვლა-შესვლა), ყველა ბავშვისთვის განსაკუთრებულ ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს. არსებული კვლევების და საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, სკოლის პოზიტიური დაწყება მომავალი აკადემიური მიღწევების, საგანმანთლებლო და სოციალური წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს; თუმცა, სკოლაში ტრანზიციის პროცესი ბავშვების გარკვეული ნაწილისთვის საჭირო და დროული მხარდაჭერის გარეშე, შესაძლოა საკმაოდ ნეგატიურ გამოცდილებად იქცეს.

სკოლაში ტრანზიციის თვალსაზრისით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვები განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ და აღნიშნულ პროცესში სპეციალურ მხარდაჭერას საჭიროებენ. ასევე მხარდაჭერას საჭიროებენ მათი მშობლები და მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები და სპეციალისტებიც.

COVID-19 -ის გავლენა ბავშვების სკოლაში ტრანზიციის პროცესზე

სკოლის პირველი წელი და სასწავლო გარემოსთან პირველი შეხება განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ განვითარებაზე, მისი თვითშეფასების, ემოციური კეთილდღეობის, ფორმირებაზე. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო ცხოვრების დასაწყისშივე ბავშვებმა დადებითი გამოცდილება მიიღონ და მომზადებულები შეხვდნენ ცვლილებებს. სკოლაში შესვლასთან დაკავშირებული სიახლეებისა და მოულოდნელობების მინიმუმამდე შემცირებისათვის, მნიშვნელოვანია წინასწარ დაიგეგმოს სკოლაში ტრანზიციის პროცესი. ტრანზიციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას/ადრეული განვითარების სერვისებს, ოჯახსა და სკოლას შორის უწყვეტ კომუნიკაციას და ერთობლივი აქტივობების განხორციელებას მოითხოვს.

Covid-19-ის პანდემიით შექმნილმა გარემოებებმა, სხვა სირთულეებთან ერთად უარყოფითი გავლენა იქონია ბავშვების სკოლაში გადასვლისთვის მოსამზადებელი აქტივობების განხორციელებაზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, მათთვის მოულოდნელად და დროზე ადრე მოუწიათ ბაღის/ ადრეული განვითარების სერვისებში ფიზიკური ჩართულობის

შეწყვეტა; შესაბამისად, ბავშვებმა ვერ მოახერხეს სათანადოდ დაესრულებინათ სკოლამდელი განათლების ეტაპი, გამომშვიდობებოდნენ მათთვის ნაცნობ გარემოს, ადამიანებს და პარალელურად მომზადებულიყვნენ სასკოლო გარემოში გადასვლისათვის. აღნიშნული დასრულება და გამომშვიდობება, თავის მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანი როლს ასრულებს ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლის პროცესში. ამასთანავე, შეიცვალა ბავშვების და მათი ოჯახების ჩვეული ცხოვრების რიტმი, შეიზღუდა აქტივობები, რომელთაც ისინი ყოველდღიურად ახორციელებდნენ. COVID-19-ის შედეგად შექმნილმა ვითარებამ, შეზღუდა სსსმ/შშმ ბავშვების და მათი ოჯახების სკოლისთვის წინასწარი მომზადების შესაძლებლობა და კიდევ უფრო მეტი რისკის ქვეშ დააყენა სსსმ/შშმ ბავშვების სკოლაში ეფექტური ჩართვის საკითხი.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლის დაწყების პერიოდისთვის, როგორც სსსმ/შშმ ბავშვები, ასევე მათი მშობლები და მიმღები საგანმანათლებლო გარემო, შესაძლოა საკმაოდ მოუმზადებლები აღმოჩნდნენ.

ამრიგად, მნიშვნელოვანია იმ საფეხურების განხილვა, რომლიც ოჯახმა და სკოლამ შეიძლება გაიაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სკოლაში უმტკივნეულო ტრანზიციის უზრუნველსაყოფად Covid-19-ით გამოწვეული დაბრკოლებების გათვალისწინებთ.

ტრანზიციის პროცესი და მისი ძირითადი საფეხურები

1. პირველ კლასში ადრეული რეგისტრაცია

- სასკოლო ასაკის დადგომისას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ დასაბუთებული ეჭვის არსებობისას, მშობელს აქვს შესაძლებლობა საბავშვო ბაღის ან ადრეული განვითარების პროგრამის შუამდგომლობით/დამოუკიდებლად მიმართოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს. აღნიშნულ გუნდში წარმოდგენილი სპეციალისტები აფასებენ და ადასტურებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობას.
- სტატუსის დადასტურების და მშობლის მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, გუნდი უწევს მშობელს რეკომენდაციას საგანმანათლებლო დაწესებულების შერჩევის და შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხებზე.

- ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ დასაბუთებული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მშობელი ხდება უფლებამოსილი ზოგადი განათლების სისტემაში ჩარიცხვის მიზნით, განახორციელოს ბავშვის **ადრეული რეგისტრაცია. ადრეული რეგისტრაცია** ოჯახს აძლევს შესაძლებლობას ბავშვი შეუფერხებლად დაარეგისტრიროს მისთვის სასურველ სკოლაში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განსაზღვრული **ადრეული რეგისტრაცია,** სწორედ ტრანზიციის პროცესის დაგეგმვის მიზნით არის შექმნილი. ადრეული რეგისტრაციის შემთხვევაში, ოჯახმა რამდენიმე თვით ადრე იცის, თუ რომელ სკოლაში უნდა მივიდეს ბავშვი, შესაბამისად, ყველა ჩართულ მხარეს (ოჯახი, სკოლა, ბაღი) ეძლევა შესაძლებლობა ერთმანეთთან აწარმოონ სწორი კომუნიკაცია და განახორციელონ მოსამზადებელი სამუშაოები.
- ზემოთ აღწერილი პროცესი ბუნებრივი მიმდინარეობა შეიცვალა Covid-19-ით გამოწვეული ეპიდემიის პირობებში. შეუძლებელი გახდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სტატუსით დარეგისტრირებული მომავალი პირველკლასელების პირისპირ შეფასების პროცესი. ეპიდემიის დროს ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების პირობებში, სპეციალისტების მიერ ბავშვის საჭიროებების შეფასებამ პირისპირ კომუნიკაციიდან ონლაინ ფორმატზე გადაინაცვლა მშობელთან ინტერვიუს სახით. აღნიშნული პროცედურა ეხმარება სპეციალისტს ჩაღრმავებულ შეფასებამდე გამოყოს პირველადი საჭიროებები რაც აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება ტრანზიციის პროცესში. ასევე, მიღებული ინფორმაცია ეხმარება სპეციალისტს მშობლისთვის და სკოლის წარმომადგენლებისთვის შემდეგი ნაბიჯებისა და განსახორციელებელი აქტივობების შესახებ რეკომენდაციის გაწევაში.

2. ოჯახისა და ბავშვის მზადება სკოლისთვის

- **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლება და მხარდამჭერი სერვისები-** პირველ რიგში ყველა მშობლისათვის არსებითია იცოდეს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო კონვენციებით და კანონებით დაცულია ბავშვთა განათლების, განვითარების და საჭირო მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

კანონი-საქართველოს რატიფიცირებული აქვს გაეროს 2006 წლის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია,, რომლის საფუძველზეც, ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება მიიღოს განათლება და პროცესი იყოს მორგებული მის ინდივიდუალურ საჭიროებაზე. საქართველოს კონსტიტუცია და განათლების სისტემის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები ითვალისწინებენ ინკლუზიური მიდგომებისა და სწავლების პრინციპებს. შესაბამისად, დაგეგმილი ტრანზიციის პროცესში რეკომენდებულია მშობელმა აქტიურად ითანამშრომლოს სკოლასთან, მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვის საჭიროებების შესახებ, მიიღოს სკოლისგან ინფორმაცია სასწავლო პროცესში არსებული სერვისების შესახებ და მაქსიმალურად ისარგებლოს, ბავშვის განათლების მიღებასთან დაკავშირებული უფლებებით და რესურსებით.

სპეციალისტები- ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის ფარგლებში, სკოლას შეიძლება ჰყავდეს სპეციალური მასწავლებელი, სსსმ მოსწავლის ასისტენტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი და სხვა საწირო სპეციალისტი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების სწავლება ხშირ შემთხვევაში საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენას და სასწავლო პროცესის ისგ-ს მიხედვით წარმართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეყრდნობა ბავშვის საჭიროებების შეფასებას და მისი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, ასახავს სხვადსხვა საგანში მოსწავლის მისაღწევ მიზნებსა და შესაბამის აქტივობებს. ბავშვის აკადემიური შეფასება, სწორედ ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამისად ხორციელდება. ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში ჩართული უნდა იყოს: სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობელი და სპეციალური მასწავლებელი. რეკომენდირებულია, რომ ოჯახმა, ტრანზიციის პროცესში სკოლასთან კომუნიკაციისას მაქსიმალურად მიიღოს ინფორმაცია ჩამოთვლილი მხარდამჭერი სერვისებიდან რომლით ისარგებლებს მისი შვილი. Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის პერიოდში ინფორმაციის ურთიერთგაცვლის კარგ პრაქტიკას წარმოადგენს ონლაინ ვებინარები სკოლებთან და/ან სატელეფონო განხილვები.

- **ბაღთან დამშვიდობება** - Covid 19-ის გამო ბავშვებს მოუწიათ ბაღის გარემოსთან კონტაქტის უეცარი გაწყვეტა, რის გამოც ვერ მოხდა ბაღის გარემოსთან ემოციური კავშირების სათანადოდ ამოწურვა. შესაბამისად, მშობელმა სასურველია დაგეგმოს და განახორციელოს ბავშვის ვიზიტი ბაღში (Covid-19 პირობებში რეგულაციების შესაბამისად); ასევე, შესაძლებელია ბავშვთან ერთად მოეწყოს ონლაინ შევედრა ბაღის აღმზრდელთან, ბაღის მეგობრებთან და ონლაინ შეხვედრის დროს განხორციელდეს გარკვეული აქტივობა, რომელიც სიმბოლურად ბაღის დასრულებასთან იქნება დაკავშირებული. ერთობლივი ვირტუალური აქტივობების შრჩევისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობები, რომ მან სრულფასოვნად შეძლოს პროცესში ჩართვა.

- **ბავშვის მომზადება სასკოლო გარემოსთვის -** ბავშვისთვის სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდეს სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით; მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წიგნების დათვალიერება და სასკოლო სიტუაციების აღწერა, „სკოლობანას“ გათამაშება, თუკი ბავშვის დედმამიშვილები დადიან სკოლაში, მათი მაგალითების აღწერა, სასკოლო თემასთან დაკავშირებული მოკლე ვიდეოების/ანიმაციების ყურება და ბავშვთან ერთად მისთვის გასაგები ფორმით განხილვა.

  ეფექტურია ბავშვთან ერთად ვიზიტის განხორციელება სკოლაში და გარემოს მონახულება, კომუნიკაციის დამყარება მასწავლებლებთან და დამხმარე სპეციალისტებთან (პანდემიის პირობებში ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების/რეკომენდაციების დაცვით). აღნიშნული ვიზიტი წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი და სკოლა ბავშვს უნდა დახვდეს მომზადებული. სკოლაში ვიზიტის დროს, კლასის ეზოს და სპორტდარბაზის მონახულებასთან ერთად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ბავშვისთვის სკოლის სველი წერტილების გაცნობა. ბავშვების უმრავლესობას სკოლაში მისვლამდე არ აქვთ სკოლის მსგავსი სველი წერტილის გამოყენების გამოცდილება და შესაბამისად, სასწავლო პროცესში ექმნებათ სირთულეები. ეს ერთი შეხედვით მარტივი საკითხი, მოუმზადებლობის შემთხვევაში, შესაძლოა ბავშვის სკოლაში ეფექტური ფუნქციონირების ბარიერად იქცეს. ასევე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ჰიგიენის წესების დაცვაზე, როგორც სახლში, ასევე სასკოლო გარემოში.

  პანდემიის დროს, იმ ოჯახებისთვის, ვისაც ფიზიკურად ვერ მიჰყავს ბავშვი სკოლაში და აქვს წვდომა ინტერნეტთან, შესაძლოა სკოლამ მოამზადოს ვიდეო გზამკვლევი, სადაც ასახული იქნება საკლასო გარემო და სკოლის სხვა სივრცეები, ბავშვს გაეცნობა მომავალი დამრიგებელი, სკოლის დამხმარე სპეციალისტები. წარმატებულ პრაქტიკას წარმოადგენს სწავლის დაწყებამდე ონლაინ შეხვედრის მოწყობა, ოჯახის, ბავშვის, მომავლი მასწავლებლის და დამხმარე სპეციალისტების ჩართულობით.

- **ბავშვების ინფორმირება Covid-19-ით გამოწვეული ცვლილებებისა და შესასრულებელი წესების შესახებ -** რეკომენდებულია, მშობლები ესაუბრონ ბავშვებს Covid-19-ით გამოწვეული გარემოებების შესახებ, დაუსვან მათ კითხვები, რათა გაარკვიონ, თუ რა ტიპის ინფორმაციას ფლობს ბავშვი. მშობლებმა მაქსიმალურად გულწრფელად უნდა გასცენ პასუხი ბავშვების ყველა კითხვას. კარგი პრაქტიკაა ბავშვებისათვის მოხდეს პოზიტიური მაგალითების გაზიარება, რომელიც ასახავს, თუ როგორ ეხმარებიან ადამიანები ერთმანეთს პანდემიის დროს. ბავშვისათვის მნიშვნელოვანია გაუჩნდეს დაცულობის განცდა და ესმოდეს, რომ მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, ის მარტო არ არის და რომ ადამიანები ეხმარებიან ერთმანეთს. ასევე , ბავშვებს სჭირდებათ იცოდნენ, თუ რა იქნება შემდეგ, რა ელით ამა თუ იმ სიტუაციაში. ბავშვის ქცევის და ემოციური მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებისათვის, რეკომენდებულია ბავშვებისთვის შემუშავდეს დღის რუტინა. აღნიშნული მიდგომა ბავშვისთვის პროგნოზირებადს გახდის გარემოში მიმდინარე პროცესებს და

შეამცირებს სტრესს და შფოთვას. ჰიგიენის წესების დაცვის გავარჯიშებისთვის, დღის განმავლობაში რამდენჯერმე უნდა მოხდეს ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება, ყურადღება უნდა გამახვილდეს ხელების სწორად დაბანაზე. შესაძლოა, გათამაშდეს ხელების დაბანასთან დაკავშირებული სახალისო აქტივობები, ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის ტუალეტის ქცევასთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებას, ჯილდოთი წახალისდეს ბავშვის მცდელობა დაიცვას წესები. აღნიშნული უნარ-ჩვევა, ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის გარემოში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს ბევრად უფრო გაუადვილებს წესების გაგებას მათი ვიზუალიზაცია და ბავშვისთვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

- **მომზადება კლასთან პირველი შეხვედრისათვის** - სწავლის დაწყების პირველ დღეებში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას ბავშვების მიერ თანაკლასელებისთვის თავის გაცნობა წარმოადგენს. აღნიშნული აქტივობა სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ორგანიზებული და დამოკიდებულია პედაგოგზე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში არსებითად მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლემ სათანადოდ შეძლოს თვითგამოხატვა. იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებმა მაქსიმალურად დამოუკიდებლად და წარმატებით გაართვან თავი აღნიშნულ აქტივობას, რეკომენდებულია მშობლებმა შვილებთან ერთად წინასწარ შექმნან ე.წ. ,,საკომუნიკაციო პასპორტი" რომელშიც ვიზუალურად იქნება წარმოდგენილი მოსწავლის შესახებ ინფორმაცია, მისი ინტერესები, რის კეთება სიამოვნებს ბავშვს, ვინ არიან მისი მეგობრები, რა მიღწევები ჰქონდა სკოლაში მისვლამდე, რა არ უყვარს, რა უნდ გაითვალისწინონ მასთან ურთიერთობისას და სხვა. აღნიშნული „საკომუნიკაციო პასპორტი" დაეხმარება ბავშვს უკეთ გააცნოს თანატოლებს თავი (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ http://inclusion.ge/res/docs/2019122314025140003.pdf)

3. სკოლის მზადება ბავშვების უმტკივნეულო ტრანზიციისათვის

- **ბავშვის საჭიროებების შესახებ სკოლის მიერ ინფორმაციის შეგროვება** - სასკოლო გარემოში რელევანტური ცვლილებების გასატარებლად, საჭიროა ინფორმაცია ბავშვის ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, წინა აკადემიური, უნარების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების ცოდნა. სკოლამ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიპოვოს ბავშვის ოჯახთან და/ან სკოლამდელი აღზრდის და/ან ადრეული ინტერვენციის სერვისების წარმომადგენლებთან დაგეგმილი და თანმიმდევრული კომუნიკაციით. ობიექტურ წყაროს წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის

დასკვნა სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ბავშვის საჭიროებები და მოცემულია სასწავლო პროცესისა და გარემოს მორგების რეკომენდაციები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადრეული რეგისტაციისა და კარგად ორგანიზებული ტრანზიციის პირობებში, სკოლა დროულად იღებს ინფორმაციას მომავალი მოსწავლის შესახებ და აქვს შესაძლებლობა გაითვალისწინოს მოსწავლის საჭიროებები (მაგალითად ფიზიკური გარემოს ადაპტირებასთან დაკავშირებული საჭიროებები). ადაპტირებული ფიზიკური გარემო სკოლებში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კი სათანადო დროს მოითხოვს. რეკომენდებულია, სკოლამ დროულად დაიწყოს მოლაპარაკება შესაბამის უწყებებთან, სკოლაში ფიზიკური გარემოს ადაპტირების/მოწყობის, შესახებ, რათა მომავალმა მოსწავლემ შეძლოს გარემოში თავისუფლად გადაადგილება და ფუნქციონირება. რიგ შემთხვევებში, შეიძლება გამოიკვეთოს ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტების მობილიზების საჭიროებაც (სპეციალური მასწავლებელი, ბავშვის ინდივიდუალური ასისტენტი, ლოგოპედი და სხვა), სათანადო სპეციალისტების შერჩევა კი, დროს მოითხოვს. დაგეგმილი ტრანზიცია ხელს უწყობს სხვადასხვა საჭიროებებზე დროულ რეაგირებას და სხვადასხვა დაბრკოლების მინიმუმამდე დაყვანას.

- **სკოლის მიერ მშობლებთან კომუნიკაციის მექანიზმის შექმნა** - მნიშვნელოვანია, სკოლის მხრიდან მშობლებმა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია, თუ რა დამხმარე სერვისებია სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. ასევე, თუ რა კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები მუშაობენ სკოლაში, როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი, როგორ მოხდება ბავშვის აკადემიური შეფასება, რა შემთხვევაში იქნება გამოყენებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და სხვა. Covid-19-ით გამოწვეული გარემოებების გამო, რეკომენდებულია სკოლამ განავითაროს ელექტრონული კომუნიკაციის სისტემა, შექმნას ვიდეო რესურსები, რომელიც მომავალ მოსწავლეებს და მათ მშობლებს მისცემს შესაძლებლობას გაიცნონ სკოლის ფიზიკური გარემო, ადამიანურ რესურსები და ბავშვებისათვის განკუთვნილი დამხმარე სერვისები.
- **მომავალი მოსწავლეების სკოლაში საორიენტაციო ვიზიტების ორგანიზება** - სასკოლო გარემოს მონახულება, გასაუბრება ადმინისტრაციასთან და პერსონალთან თანაბრად მნიშვნელოვანია ყველა ჩართული მხარისათვის. სკოლაში ვიზიტი/ები უნდა იყოს წინასწარ დაგეგმილი მშობლისა და ბავშვის ჩართულობით. ბავშვის სკოლაში ვიზიტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ინტერესები და თავისებურებები, ის თუ რა ახარებს ბავშვს, რის კეთება მოსწონს, როგორი ფორმით უფრო უადვილდება კომუნიკაციის დამყარება, რა ტიპის აქტივობებში ერთვება ხალისით, რა გამოსდის ყველაზე კარგად. აღნიშნულ ინფორმაციაზე დარყდნობით, სკოლა ამზადებს ერთგვარ ინდივიდუალურ პროგრამას, რომელიც დაეხმარება ბავშვს და მშობელს სასკოლო გარემოსთან დაკავშირებით პოზიტიური გამოცდილების მიღებაში. როგორც უკვე აღინიშნა, Covid-19 პანდემიის პირობებში შესაძლოა

პირისპირ შეხვედრები ონლაინ შეხვედრებით ან/და ჯგუფური ჩართვებით შეიცვალოს, ან აქტივობები დაიგეგმოს ღია სივრცეში, სკოლის ეზოში.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, როდესაც ყველა ჩართული მხარე ინაწილებს პასუხისმგებლობებს და ვალდებულებებს, სახეზეა შემდეგი შედეგები:

- მომზადებული ბავშვი, რომელიც სკოლაში მიდის მეტად თავდაჯერებული, ხალისიანი და რომელსაც ნაკლები სირთულეები ექმნება ახალ გარემოსთან ადაპტირების პროცესში.

- მეტად მომზადებული სკოლის პერსონალი, რომელსაც აქვს ინფორმაცია ბავშვის საჭიროებებისა და გასაწევი მხარდაჭერის შესახებ, რაც ზრდის მიმღებლობას და ამცირებს შფოთვას.

- დამშვიდებული მშობელი, რომელიც იცნობს სკოლის გარემოს, მასწავლებლებს და იცის, რომ მისი შვილი უსაფრთხოდ იქნება სკოლის გარემოში და ბავშვის საჭიროებები გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული იქნება სკოლის პერსონალის მიერ.

სასარგებლო ბმულები მშობლებისათვის:

1. **საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებ გვერდები:**

http://mes.gov.ge/
http://inclusion.ge/

2. **ფეისბუქ გვედი „მშობლის სკივრი“:**

https://www.facebook.com/mshoblisskivri/

3. **ფეისბუქ გვერდი „ვსწავლობთ ერთად“:**
https://www.facebook.com/%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%97-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93-108402090845144/

გამოყენებული ლიტერატურა:

მ.ბაგრატიონი-გრუზინსკი& ც.ბარქაია& მ.წულაძე & მ.ხვადაგიანი& ჟ.კვაჭაძე& მ.ზაქარეიშვილი& ვ.მიდელაური. *ადრეული ბავშვობა და ტრანზიცია სკოლაში.* „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“, 2019 წელი.